

შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგებები

2019 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია	3
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8
1. ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის საოპერაციო გარემო	8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	9
3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები	13

შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

ზოგადი ინფორმაცია

დასახელება: შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

საიდენტიფიკაციო ნომერი: 404950095

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 34, მაღაზია N1

დაარსების თარიღი: 2 ივლისი 2012 წელი

კომპანიის 100% წილის მფლობელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება პეტროკას ენერჯი მენეჯმენტ ლიმიტედ

კომპანიის დირექტორი: არჩილ ხელაშვილი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაზე, რომლებიც სამართლიანად წარმოადგენს შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯიას ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი ოპერაციების, ფულადი ნაკადებისა და აქციონერების კაპიტალში ცვლილებების შედეგებს ამ პერიოდისთვის დასრულებული წლისათვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის სათანადოდ შერჩევასა და მის გამოყენებაზე;
- სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით ინფორმაციის წარდგენაზე იმ ფორმით, რომელიც გვაწვდის რელევანტურ, სარწმუნო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი განმარტებითი შენიშვნების მოწოდებაზე;
- შეაფასოს კომპანიის უნარი, გააგრძელოს არსებობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ასევე, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ეფექტური შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ადეკვატური სააღრიცხვო ჩანაწერების შენარჩუნებაზე, რომელიც საკმარისია კომპანიის ტრანზაქციების საჩვენებლად და ნებისმიერ დროს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გონივრული სიზუსტით განმარტებისთვის;
- ადგილობრივ კანონმდებლობასთან და საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტებთან შესაბამისად სააღრიცხვო ჩანაწერების წარმოებაზე;
- იმ ზომების მიღებაზე, რომლებიც გონივრულად ხელმისაწვდომია კომპანიის აქტივების დასაცავად; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების პრევენციასა და გამოვლენაზე.

შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	1	2,654	2,371
თანამშრომელთა სახელფასო და მასთან დაკავშირებული ხარჯები		(1,645)	(1,489)
ცვეთა და ამორტიზაცია		(676)	(99)
სხვა საოპერაციო ხარჯები	2	(320)	(832)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		13	(49)
ფინანსური ხარჯები	3	(141)	(12)
ზარალი დაბეგვრამდე		(128)	(61)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის ზარალი		(128)	(61)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)		(128)	(61)

დირექტორი
არჩილ ხელაშვილი

შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	149	253
აქტივები გამოყენების უფლებით	5	569	-
		718	253
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	227	84
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	17	121
		244	205
სულ აქტივები		962	458
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	8	389	389
გაუნაწილებელი მოგება		(95)	33
სულ კაპიტალი		294	422
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	39	36
იჯარის ვალდებულებები	5	629	-
სულ ვალდებულებები		668	36
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		962	458

დირექტორი
არჩილ ხელაშვილი

შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ ლარი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	389	94	483
წლის ზარალი	-	(61)	(61)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	389	33	422
წლის ზარალი	-	(128)	(128)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	389	(95)	294

დირექტორი
არჩილ ხელაშვილი

შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	(128)	(56)
კორექტირებები:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯებისათვის	107	99
გამოყენების უფლებით აქტივების ამორტიზაციისთვის	569	-
ფინანსური ხარჯისთვის	56	-
საკურსო (მოგება)/ზარალი	11	(14)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	615	29
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:		
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(143)	436
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	3	(130)
ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	475	335
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული გადახდა	(4)	(300)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(4)	(300)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(583)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(583)	-
სავალუტო კურსის ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	8	13
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	121	73
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	121

შენიშვნა: ანგარიშგება მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდით

დირექტორი
არჩილ ხელაშვილი

შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	1	2,654	2,371
თანამშრომელთა სახელფასო და მასთან დაკავშირებული ხარჯები		(1,645)	(1,489)
ცვეთა და ამორტიზაცია		(676)	(99)
სხვა საოპერაციო ხარჯები	2	(320)	(832)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		13	(49)
ფინანსური ხარჯები	3	(141)	(12)
ზარალი დაბეგვრამდე მოგების გადასახადის ხარჯი		(128)	(61)
		-	-
წლის ზარალი		(128)	(61)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)		(128)	(61)

დირექტორი
არჩილ ხელაშვილი



შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	149	253
აქტივები გამოყენების უფლებით	5	569	-
		<u>718</u>	<u>253</u>
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	227	84
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	7	17	121
		<u>244</u>	<u>205</u>
სულ აქტივები		<u>962</u>	<u>458</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	8	389	389
გაუნაწილებელი მოგება		(95)	33
სულ კაპიტალი		<u>294</u>	<u>422</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	39	36
იჯარის ვალდებულებები	5	629	-
სულ ვალდებულებები		<u>668</u>	<u>36</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>962</u>	<u>458</u>

დირექტორი

არჩილ ხელაშვილი




შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ ლარი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	389	94	483
წლის ზარალი	-	(61)	(61)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	389	33	422
წლის ზარალი	-	(128)	(128)
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	389	(95)	294

დირექტორი
არჩილ ხელაშვილი



შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ზარალი დაბეგვრამდე	(128)	(56)
კორექტირებები:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯებისათვის	107	99
გამოყენების უფლებით აქტივების ამორტიზაციისთვის	569	-
ფინანსური ხარჯისთვის	56	-
საკურსო (მოგება)/ზარალი	11	(14)
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	615	29
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:		
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(143)	436
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	3	(130)
ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	475	335
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული გადახდა	(4)	(300)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული / (საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(4)	(300)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(583)	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(583)	-
სავალუტო კურსის ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	8	13
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	121	73
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	17	121

შენიშვნა: ანგარიშგება მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდით

დირექტორი
არჩილ ხელაშვილი



შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია და კომპანიის საოპერაციო გარემო

შპს პეტროკას ენერჯი ჯორჯია დაფუძნდა 2012 წლის 2 ივლისს საქართველოში შეზღუდულ პასუხისმგებლობის საზოგადოებად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მენეჯმენტისა და ადმინისტრაციული მომსახურების მიწოდება დაკავშირებული კომპანიებისთვის.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ილია ჭავჭავაძის გამზირი #34, მაღაზია N1, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი - წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ისტორიული ღირებულებით.

სააღრიცხვო პოლიტიკა - კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია ძირითადი დაშვება - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

კომპანია თავის ვარაუდებს აფუძნებს ისტორიულ შედეგებზე, ითვალისწინებს რა დამკვეთის და ტრანზაქციის ტიპებს და თითოეული გარიგების მახასიათებლებს. გარემოებების ცვლილების შესაბამისად შესაძლოა შეიცვალოს ვარაუდები კომპანიის შემოსავლების და ხარჯების შესახებ. ვარაუდების ცვლილებით გამოწვეული ზრდის ან შემცირების ასახვა ხორციელდება იმავე საანგარიშო პერიოდში, როცა კომპანიის ხელმძღვანელობისათვის ცნობილი ხდება გარემოებების ცვლილების შესახებ.

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე. ამონაგები აღიარდება წმინდად - დისკონტირების, უკუგებებისა და დღგ-ს გარეშე.

კომპანია უზრუნველყოფს მომსახურებას ფიქსირებული ფასის კონტრაქტებით. მომსახურების გაცემიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია საანგარიშო პერიოდში, რომელშიც ხდება მომსახურების გაწევა. ფიქსირებული ფასის მქონე კონტრაქტებისთვის, შემოსავალი აღიარებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის გაწეული რეალური მომსახურების საფუძველზე. ფიქსირებული ფასის კონტრაქტების შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ თანხას გადახდის გრაფიკის საფუძველზე. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება აღემატება გადახდას, აღიარებულია ხელშეკრულების აქტივი. თუ გადახდები აღემატება გაწეულ მომსახურებას, აღიარებულია ხელშეკრულების ვალდებულება.

ფინანსური შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს, რომელიც აღიარდება დარიცხვის მეთოდით პერიოდის შესაბამისად.

აქტივები გამოყენების უფლებით - კომპანია იჯარით იღებს არასასოფლო - სამეურნეო მიწასა და შენობებს. აქტივები, რომლებიც წარმოიქმნება იჯარიდან თავდაპირველად შეფასდება ამჟამინდელი ღირებულების საფუძველზე. აქტივები გამოყენების უფლებით შეფასდება თვითღირებულებით და შედგება შემდეგისაგან:

- იჯარის ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნემისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლით;
- ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი ხარჯი და
- აქტივის იჯარის შეთანხმებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აღდგენის ხარჯები.

აქტივები გამოყენების უფლებით საერთოდ გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ყველა იმ იჯარისთვის, სადაც კომპანია მოიჯარეა, იჯარის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და ის ცვეთას ექვემდებარება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა - კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებში შემავალი მუხლები ფასდება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, სადაც კომპანია საქმიანობს (სამუშაო ვალუტა). ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ქართულ ლარში. კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში ამ ტრანზაქციების განხორციელების დღეს მოქმედი სავალუტო კურსით. ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში - ფინანსური შემოსავლის ან ხარჯების მუხლში.

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული საანგარიშო პერიოდისათვის ან შემდგომში ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ,

გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოქმნილია დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადი იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები განაწილდება.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ გადასახადებში, და არა მოგების გადასახადში.

ახალი კანონის შესაბამისად კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება იმ პერიოდში როდესაც ხდება მოგების გამომუშავება და მოგების გადასახადის ხარჯს აღიარებს მხოლოდ მოგების განაწილების დროს.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ.

ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების ან გადაფასებული თანხების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე. კომპანიის მიერ გამოყენებული წლიური ცვეთის განაკვეთებია:

	%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3
ტექნიკა	5
სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5

აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო გამოყენების ვადები გადაიხედება და საჭიროებისამებრ კორექტირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) არსებობს სახელშეკრულებო და ფულადი ნაკადის მიღებისთვის და ეს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (SPPI) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით,

მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია (FVTPL). ნაშთები, რომელთა გადაცვლაზე ან რომელთა მეშვეობით ვალდებულების ანგარიშსწორებაზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მინიმუმ თორმეტთვიანი შეზღუდვა მაინც არსებობს, აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ კლიენტებისაგან მისაღებ თანხებს. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთ წელიწადში ან ნაკლებ ვადაში, მაშინ მოთხოვნები კლასიფიცირდება მოკლევადიან აქტივებად, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიცირდება გრძელვადიან აქტივებად. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მომწოდებელი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების შესაბამისად; იგი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

მიღებულ ავანსებად აღირიცხება მომსახურების შესრულებამდე კლიენტისაგან მიღებული თანხები, რომლისგანაც შემოსავალი ჯერ არ აღიარებულა.

გადახდილ ავანსებად აღირიცხება მომსახურების შესრულებამდე მომწოდებლისათვის გადახდილი თანხები, რომლის ხარჯიც ჯერ არ აღიარებულა.

კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს, რეზერვებს და გაუნაწილებელ მოგებას.

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით.

თანამშრომელთა გასამრჯელოები - ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სამედიცინო დაზღვევა, დაირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეული იქნა მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

მარაგები - აღირიცხება თვითღირებულებით და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება პირველი შემოსვლის-პირველი გასვლის საფუძველზე.

სამართალწარმოება - 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული რაიმე მნიშვნელოვან სამართალწარმოების პროცესში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები - ბალანსის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვს ფინანსური ანგარიშგებების შესწორებას ან განმარტებებს.

3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

(შენიშვნებში არსებული თანხები გამოსახულია ათასობით ქართულ ლარში)

შენიშვნა 1 - ამონაგები

	2019	2018
შემოსავალი მენეჯმენტ და ადმინისტრაციული მომსახურებიდან	2,654	2,371
	2,654	2,371

შენიშვნა 2 - სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
უსაფრთხოების ხარჯები	95	95
საოფისე ხარჯები	33	603
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	80	17
საკომუნიკაციო ხარჯები	52	42
ტრენინგისა და მივლინების ხარჯები	32	28
საკონსულტაციო ხარჯები	19	17
სხვა საგადასახადო ხარჯები	9	7
სხვა ხარჯები	-	23
	320	832

შენიშვნა 3 – ფინანსური ხარჯები

	2019	2018
სავალუტო მოგება, წმინდა	(85)	(11)
ბანკის საკომისიო	-	(1)
საპროცენტო ხარჯი	(56)	-
	(141)	(12)

შენიშვნა 4 - ძირითადი საშუალებები

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ავტომობილები	ტექნიკა	ავეჯი და ოფისის აჭურველობა	სულ
ნაშთი					
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	99	22	16	137
დამატებები	266	-	-	34	300
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	266	99	22	50	437
დამატებები	-	-	-	3	3
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	266	99	22	53	440
დაგროვილი ცვეთა					
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	54	16	16	86
ცვეთის ხარჯი	81	10	2	5	98
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	81	64	18	21	184
ცვეთის ხარჯი	89	10	2	6	107
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	170	74	20	27	292
წმინდა საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	185	35	4	29	253
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	96	25	2	26	149

შენიშვნა 5 - აქტივები გამოყენების უფლებით

კომპანია საოფისე ფართებს ქირაობს თბილისში. საიჯარო ხელშეკრულებები, როგორც წესი, დგება ფიქსირებული პერიოდის განმავლობაში, თუმცა შესაძლოა გაჩნდეს გაგრძელების შესაძლებლობა. 2018 წლის 31 დეკემბრამდე საოფისე ფართების იჯარა კლასიფიცირდებოდა როგორც ან ფინანსური იჯარები ან საოპერაციო იჯარები. 2019 წლის 1 იანვრიდან, იჯარები აღიარდება, როგორც აქტივები გამოყენების უფლებით და შესაბამისი ვალდებულება - იმ დღიდან, როდესაც იჯარით გაცემული აქტივი კომპანიის მიერ გამოყენებისათვის ხელმისაწვდომი ხდება.

აქტივების გამოყენების უფლებით ქვემოთ მოცემული მუხლების მიხედვით შემდეგია:

	საოფისე შენობა ლარი
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,138
ცვეთის ხარჯი	(569)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	569

კომპანიამ იჯარის ვალდებულებები აღიარა შემდეგნაირად:

	2019 წლის 31 დეკემბერი ლარი	2019 წლის 1 იანვარი ლარი
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულება	569	569
გრძელვადიანი იჯარის ვალდებულება	-	569
იჯარის ვალდებულებები სულ	569	1,138

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაწვდის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების და კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში ცვლილებების ანალიზს ყველა წარდგენილი პერიოდისთვის. ამ ვალდებულებების მუხლები ის მუხლებია, რომლებიც ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში მოხსენებულია, როგორც ფინანსური.

	იჯარის ვალდებულებები
	ლარი
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
ახალი სტანდარტის მიღება	1,138
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,138
ფულადი სახსრების მოძრაობა, გარდა გადახდილი პროცენტისა	(583)
დარიცხული პროცენტები	56
გადახდილი პროცენტები	(56)
საკურსო სხვაობა	74
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობიდან 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	629

შენიშვნა 6 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	144	-
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	144	-
გადახდილი ავანსები	83	84
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	227	84

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა მოთხოვნების შემცირება გაუფასურების ანარიცხით, ვინაიდან შეფასების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრა როგორც არამატერიალური.

შენიშვნა 7 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნაშთები იყო შემდეგი:

	<u>2019</u>	<u>2018</u>
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	<u>17</u>	<u>121</u>
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	<u>17</u>	<u>121</u>

შენიშვნა 8 - საწესდებო კაპიტალი

ასოცირების მემორანდუმის თანახმად, კომპანიამ დაადგინა საწესდებო კაპიტალი 100 ლარით. 2012 წლის 18 ივლისს დამფუძნებლის მიერ მოხდა კაპიტალის შევსება 131 ათას ლარამდე, ხოლო 2017 წლის 14 დეკემბერს 389 ათას ლარამდე.

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	<u>2019</u>	<u>2018</u>
სავაჭრო ვალდებულებები	<u>14</u>	<u>27</u>
სხვა ვალდებულებები	<u>25</u>	<u>9</u>
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	<u>39</u>	<u>36</u>

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები - 2019 წლის ბოლოს ცნობილი გახდა ახალი კორონავირუსის COVID-19-ის შესახებ. წლის ბოლოსთვის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ფლობდა ინფორმაციას ადამიანების გარკვეულ ოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შესახებ. 2020 წლის პირველ თვეებში ვირუსი გავრცელდა გლობალურად და გაიზარდა მისი უარყოფითი გავლენა მსოფლიოს მასშტაბით.

საკუთარი თანამშრომლების ჯანმრთელობის დასაცავად და საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების უზრუნველსაყოფად კომპანიამ სწრაფი და ეფექტური ზომები მიიღო. ხელმძღვანელობის მიერ მომზადდა და დამტკიცდა ინფექციის პრევენციისა და კონტროლის გეგმა. გეგმაში აისახა საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები და გაეცნო კომპანიის თანამშრომლებს. გარდა ამისა, გეგმაში გათვალისწინებულია დაავადებათა ეროვნული ცენტრისა (NCDC) და ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული ყველა რეკომენდაცია. კომპანიის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით უზრუნველყოფილია ძირითადი პროცესების შეუფერხებლად მიმდინარეობა. საგანგებო მდგომარეობის ამოქმედებისთანავე კომპანიის ადმინისტრაციული პერსონალი და ასევე თანამშრომლები, რომლებიც მაღალი რისკის კატეგორიაში შედიან, გადავიდნენ დისტანციურ მუშაობაზე; ვინაიდან ვირუსის პანდემიის განმავლობაში სრულად არ იყო შეჩერებული ქვეყნის შიგნით სატრანსპორტო მოძრაობა, შენარჩუნდა საწვავზე მოთხოვნა, თუმცა არა იმავე მოცულობით, როგორც პანდემიამდე პერიოდში. ხელმძღვანელობა პანდემიას არამაკორექტირებელ ბალანსის შემდგომ მოვლენად მიიჩნევს. ხელმძღვანელობა გააგრძელებს სიტუაციის პოტენციური შედეგების შეფასებას და გადადგამს ყველა შესაძლო ნაბიჯს შემდგომი უარყოფითი შედეგების შესამცირებლად. მას შემდეგ, რაც საქართველომ წარმატებით გაართვა თავი პანდემიის კრიზისს და მიჩნეულია მსოფლიოში ერთ-ერთ უსაფრთხო ქვეყნად, ჩვენ ველით, რომ წლის ბოლომდე სრულად აღდგება მოთხოვნა ქვეყნის შიდა ტრანსპორტზე.